წელიწადი 1-ლი
გაზ. ფასი 3 შაური.
ტელეფონი № 76.
სამშაბათი სექტემბერს 5—(18) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:	
თვიურათ	3 მან.
ოთხი თვით	1 თუმანი.
ცალკე ნუმერი	3 შაური.
განცხადების ფასი:	
პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი	2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე	5 შაური.

ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში; კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 119 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 119

ჭიათურის მოქალაქენო!

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას

№ 4

1. პაპავა ზარზიბა ამბაკოს ძე—სამთომადნო ინჟინერი.
2. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე—შავი ქვის მრეწველი.
3. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე—ინჟინერი-კომერსანტი.
4. ფხალაძე მარკოზა იოსების ძე—ვაჭარი.
5. აბულაძე დავით თეიმურაზის ძე—შავქვის მრეწველი.
6. ბერიძე ილარიონ დავითის ძე—შავქვის მრეწველი.
7. ჩიხლაძე სიმონ დიმიტრის ძე—[illegible]
8. აბაშიძე ჯიბო [illegible] ძე—შავქვის მრეწველი.
9. ლეჟავა ანგია პეტრეს ძე—სახლის მეპატრონე.
10. აბუსერიძე ვასილ ნიკოლოზის ძე—ნოტარიუსი.
11. გვანცელაძე ვარლამ სტეფანეს ძე—ვაჭარი.
12. ბურჯანაძე ამბაკო ბესარიონის ძე—სასამართლოს ბოქაული.
13. იაკობაშვილი [illegible] იოსების ძე—ნოტარიუსის თანაშემწე.
14. ქუჩავა რაჟდენ კონსტანტინეს ძე—ვაჭარი.
15. კოხრეიძე [illegible]—ვაჭარი.
16. წერეთელი ნესტორ ზაქარიას ძე—შავქვის მრეწველი.
17. ყიფიანი კონსტანტინე აპოლონის ძე—შავქვის მრეწველი.
18. დეკანოზიშვილი ირაკლი გრიგოლის ძე—ტეხნიკი.
19. შავგულიძე ვარლამ ტეხნიკი.
20. ბარათაშვილი ივანე მიხეილის ძე—შავქვის მრეწველი.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მაით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში, თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციას თან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ბიურო აგვისტოს 16-დან გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი №6 გოგიტიძის სახლი აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება პარტიის ცენტრებიდან დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-8-მდე.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ, წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

ბათომის კომიტეტი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ტიტე მარგველაშვილის წიგნი

ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

ფასი ერთი მან. მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

სავალდებულო დადგენილება

ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ კომიტეტის 1917 წლის 17 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად, კუბიკურ საჟენ შეშაზე დადგენილია შემდეგი ნიხრი (ტარიფი ნიხრში არ შედის):

1) **ოთხათ გაჭრილი**—12 ვერშოკიანი:

ა) **მაგარი** (მუხა, რცხილა, კოპიტი, წიფელა და თელა)—125 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა)—100 მანეთი.

2) **ორათ გაჭრილი** 1 ნახ. არშინიანი.

ა) **მაგარი**—100 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა)—85 მანეთი.

3) **გაუჭრელი** (სამ არშინიანი):

ა) **მაგარი**—100 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა)—75 მანეთი

კომიტეტი მოუწოდებს ყველას, ვისაც აქვს გასასყიდლათ დამზადებული შეშა, ამ სავალდებულო დადგენილების გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინონ კომიტეტს ცნობები, თუ ვის რამდენი საჟენი შეშა აქვს და ჩაბარონის კომიტეტს.

იმ პირებს, რომლებიც დანიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ ცნობებს, შეშა ჩამოერთმევათ და გარდა ამისა ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული თანახმად მომრიგებელ მოსამართლის წესდების 29 მუხლისა.

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით, ქალაქ ქუთაისში გახსნილია საღამოს საყოველთაო მოსამზადებელი

კურსები,

მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.

მისამართი: ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან—8 საათამდის საღამოს.

მ. მ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიწერიის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის საკეთებელი **სოდა** და მისი ყოველივე მასალები. ფასები ზომიერია.

იყიდება წყლის გასათბობიანი ცინკის

ვანა

ჰკითხეთ გენერლის ქუჩ. ფეიქაროვის სახლი

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

დავაჩქაროთ.

ბევრს ეგონა, რომ რუსეთის დიადი რევოლუცია მოულოდნელად მოხდა და ადვილათ ჩაივლისო. დღეს სავსებით ირკვევა, რომ უმეტესობის იმედი უსაფუძვლო იყო. სინამდვილე თვალწინ გვიდგია და ვხედავთ, რომ საქმე რთულდება. კონტრ-რევოლუციას ბნელი ძალების მხრიდან ველოდით, სახიფათოდ და არასაიმედოთ მარტო ძველი მთავრობის ნაშთები და მოტრფიალენი მიგვაჩნდა, მაგრამ, საუბედუროთ, სხვა წრეებიც ასეთები აღმოჩნდენ: კორნილოვის სამარცხვინო მოგზაურობა ამ წრეებიდან იწყება, მისი სულის ჩამდგმელი გუჩკოვი და მისი თანამოაზრენი ყოფილან.

ჩვენ ეს ასე არ გვეგონა, მაგრამ ასე მოხდა დავრწმუნდით, რომ ბევრი რამ ხდება ისეთი, რის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა.

სულ სხვაა იმედი, სულ სხვაა სინამდვილე. აწიც მოსალოდნელია ასეთი გამოსვლები მით უმეტეს, რომ რუსეთში პოლიტიკურათ სრულიად მომწიფებული არც ერთი პარტია არ ყოფილა, ამიტომ არეულობის დროს, როგორიც დღესაა, ყველაფერს უნდა ველოდეთ.

ასეა თუ ისე, დღევანდელი მომენტი ცხადათ გვიმტკიცებს, რომ რუსეთის რევოლუციას ბევრგვარი უბედურება მოჰყვება, რომელთა შორის **სისხლის ღვრა** და **შიმშილი** უმთავრესათ უნდა ჩაითვალოს. ვისი ბრალი იქნება რევოლუციის გართულება, ვინ ჩაიდენს ბარბაროსობას, ვინ წამოწვდის ბინძურ ხელს ახლად შობილ თავისუფლების დასახრჩობათ—არსებითად სულ ერთია, ამის აწონ დაწონა და შესაფერი მსჯავრის დადება მომავლის საქმეა, ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ დღეს მწარე განსაცდელის წინაშე ვსდგავართ, კარზე უბედურებაა მომდგარი და მას შეხვედრა უნდა.

ჩვენი მოვალეობაა, შევიგნოთ ეს და შესაფერი ზომები მივიღოთ, რომ სრული განადგურებისაგან თავი ვიხსნათ. გარეშე მტერს შინაური დაემატა—მტერი უფრო საშიში და უფრო ულმობელი. მტერი უფრო თავხედი და ვნებათა-ღელვით გამხეცებული.

როგორ მოვიქცეთ? როგორ მოვემზადოთ?

აი ამ საკითხის გადაწყვეტაში უნდა გამოიხატოს ჩვენი ახლად დაარსებული სამმართველო—ორგანოების უნარი და მომქმედი პარტიების პოლიტიკური სიმწიფე. აი დღევანდელი მომენტის გონიერათ დახვედრა და ასეთ არეულ-დარეულ გარემოებებში სწორი გზის ამორჩევა სწორეთ ნიშანი იქნება ბრძნული გონებისა და პატიოსნათ შესრულებული მოვალეობისა.

დღევანდელ პოლიტიკურ ქარცეცხლში ტრიალი—აი **საგანი** ჩვენი ზრუნვისა; დღევანდელ პოლიტიკურ ქარცეცხლიდან უვნებლათ გამოსვლა—აი **მიზანი** ჩვენი მოქმედებისა.

რა გვმართებს ამისთვის?

ამისთვის აუცილებელია: **ადგილობრივი ძალებით თავის დაცვა და ჩვენივე მამულის სურსათით თავის შენახვა.**

აი საერთო მიზანი, რომელიც უნდა დაისახონ განახლებულმა ქალაქის საბჭოებმა, ახლად შობილმა საგუბერნიო კომიტეტებმა, თავისუფლათ მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა მთავარმა ორგანიზაციებმა და მათმა განყოფილებებმა.

საუბედუროთ ჩვენ ისე დავეჩვიეთ სხვისგან მფარველობას, სხვისგან საქმის მოწყობას, სხვა კუთხიდან მოტანილ სურსათით საზრდოობას, რომ ჩვენს თავზე ჩვენვე აღარ ვფიქრობთ და ჩვენ სასმელ-საჭმელსა და ჩვენ ტან-ფეხის სამოსს ჩვენ მამულში აღარ ვეძებთ. რუსეთიდან მოტანილი პურის ფქვილი, ნახევრათ ტალახიც რომ იყოს, ზეციურ მანანათ მიგვაჩნია, რუსეთში მოქსოვილი შალ-მაუდი გამოულეველ შეძნიერებათ გვეჩვენება. სულ დაგვავიწყდა ის დრო, როცა საქართველო თავის სურსათით იკვებებოდა, თავისი ჭურჭლით მოწყობილ სახლში ნაყოფიერათ მუშაობდა და საკუთარი იარაღით უგამოკიბული გმირულათ იბრძოდა. ბრწყინვალე საქართველოში საკუთარი ხელით საკუთარ ეზო გარშემოში მოწყობილი ღვინით ტკბილათ ცხოვრება დღევანდელ „გაევროპიელებულ“ ქართველებს ზღაპარი ჰგონიათ. აი ეს არის ჩვენი უბედურება და აი აქ არის დამარხული მიზეზი ჩვენი დაქვეითებისა, მაგრამ დღეს ამაზე სიტყვას ვერ გავაგრძელებთ.

დავაკვირდეთ ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობას. ხომ ვხედავთ რომ აღარაფერი მოგვდის, ხომ ვხედავთ, რომ იქაც აღარაფერი იშოვება და, თუ რამე ვიშოვეთ, ან ვერ მოვიტანეთ ან ისე ფასდება, რომ ასში ერთი ვეღარ შესწვდა. ამიტომ ვეცადოთ, რომ თუ მეტი არა ერთი-ორი წელიწადი მაინც გავიჭირვოთ და გავსძლოთ შინაური სახსარით. ეს შეუძლებლათ ნუ მიგვაჩნია. გვიჭირს და გაგვიჭირდება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ რევოლუციის სული ჯერ არ გვცემია. დღევანდელი გაჭირვება უმნიშვნელოა იმისთანა, რომელიც შეიძლება დაგვადგეს, თუ რევოლუცია ისე გამწვავდა, როგორც სხვა ქვეყნებში ყოფილა. შეუთანხმდეთ იმ აზრს, რომ მწარე წუთი რომ დადგეს და მისვლა-მოსვლა შეწყდეს, ჩვენი მხარე რამდენიმე ხნით მთავარ საკავშირო გზებს დაშორდეს, მაშინ იძულებული ვიქნებით ჩვენი ქვეყნის მცენარეულობით ვისაზრდოოთ და ჩვენში ნართავ-ნაქსოვით ტანი შევიმოსოთ. ვხედავთ ნიშნებს, რომ ასე იქნება და იმიტომ ახლავე ზომები მივიღოთ, რომ ჩვენმა მამულმა ჩვენ საზრდო მოგვცეს. თუ ვეცდებით, ეს შესაძლებელია. ნუ დავტოვებთ დაუთესელ მიწას, მოუაროთ ბოსტანს, მოვიმარაგოთ ხეხილი, გავაფრთხილოთ გაზარმაცებული ნაწილი, მივასიოთ სამუშაოს ყველა და რაც გვექნება, იმას ვიყოფინებთ. თუ დროზე ვეცდებით „**პური არსობისა**“ გვექნება და დანარჩენს ერთი და ორი წლით მოვიკლებთ. ოღონდ შიმშილით ხალხი ნუ ამხედრდება, ოღონდ შიმშილით განგაში ნუ ატყდება და მიწით ქოხი გაკეთდება, ბალახით დაიხურება, უელექტრონოთ გავივლით, უქოლგოთაც ვიარსებებთ და უფაბრიკობით არ დავიხოცებით.

გარემოების და მიხედვით საჭიროდ მიმაჩნია მოხდეს თათბირი სამმართველო დაწესებულებში და საჩქაროთ შემუშავდეს მოწოდება ხალხისადმი, სადაც გარკვევით აღინიშნოს, როგორ უნდა მოიქცეს, რომ ულუკმოთ არ დარჩეს. ასეთ მოწოდებას თუ ჯეროვნათ განუმარტავს ხალხს ყოველი მოქალაქე, მოძღვარი, მასწავლებელი, კომისარი თუ კომიტეტის წევრი, თანაც საჩქაროთ შევადგენთ ცნობებს, სად რა უფრო საჭიროა, რომ მომავალი 1918 წელი შიმშილით არ დაგვაქცევს და სხვა გაჭირვებას კიდევ გაუძლებთ. დღეს წაკითხული ლექციები მიწის სოციალიზაციაზე, ფედერაციის და დემოკრატიულ რესპუბლიკის უპირატესობაზე ბოლშევიკების პროგრამის განმა-

რტებზე და სხვა ამ გვარ საკითხებზე სრულებით უშედეგო დარჩება, თუ სურსათ-სანოვაგის საქმე ვერ მოვაგვარეთ. დღეს იმას ვეცადოთ, რომ ყანა დამუშავდეს და სამათ ვაიყოფა მოსავალი, თუ ოიხათ —გაყოფამდე ისიც გადაწყდეს. განსაცდელი მოახლოვებულია და გზა დღესვე საძებარია.

ვისაც ხალხის ხსნა უნდა, იმანვე იზრუნოს, მოგვეხმაროს, გვირჩიოს და, თუ ხალხს სული შერჩა—მერე პარტიის პროგრამასაც გაიგებს და რესპუბლიკის ნეტარებასაც იგრძნობს.

თავის დაცვა და საზრდო, —აი რასა გვთხოვს ხალხი! აი რას გვიკარნახებს მომენტი! გვესმის ხალხის ხმა? ვასრულებთ მის თხოვნას?

არა და არა.

ვცდებით, მკითხველო, და ვჩქაროთ, ეს შეცდომა გავასწოროთ. დღესვე შევუდგეთ საქმეს, ჩვენვე ვიზრუნოთ, თორემ ჩრდილოეთის იმედი ვერ გვიხსნის. დავაჩქაროთ!

ტრიფონ ჯაფარიძე.

რა მოხდა?

რევოლუციურ დრ. მმართველობის წინააღმდეგ ხმლის აღმმართველი, მოღალატე გენ. კორნილოვი დაატუსაღეს.

აჯანყება დამარცხდა.

ამბოხებაში მონაწილეობის მიმღებთ სასწრაფოთ იჭერენ. რევოლუცია გადაურჩა პირველ კონტრ-რევოლუციურ ცეცხლს.

როგორია ახლობელი პერსპექტივები? ამბობენ, რევოლუცია ახალ ხანაში გადავიდაო. რა შინაარსის არის ეს ახალი ხანა? მემარცხენე დემოკრატია დაუპირდაპირდა ზომიერ ელემენტებს, ბურჟუაზიას—და კადეტებს.

სოციალისტური პრესა (გაზ. „დენი“) კორნილოვის ამბოხებაში ორ რუსეთის შებრძოლებას სჭვრეტს, ცენზიანის და უცენზოსი.

კადეტებს გაიძვერა კორნილოვის ზურგში დგომას სწამებენ. ბრალდება თუ მართალი გამოდგა, მაშინ სახალხო თავისუფლების პარტიას არავითარი რეალი საფუძველი არ ქონია, მოკლებული ყოფილა საღი აზროვნებას, პოლიტიკურ გამჭრიახობას. და ამის შემდეგ გასაკვირი არ არის თუ ის კისერს მოიტეხს.

საკვირველიც არის, რათ სწადს კადეტთა გაზ. „რეჩს“ კონტრ რევოლუციონერების დრ. მმართველობასთან შერიგება-შეთანხმება, მაგრამ ამის განხილვას ჩვენ არ შევუდგებით. რუსეთში მოელიან წმინდა მემარცხენე დემოკრატიულ მმართველობას წარმოშობას. კადეტები და სხვა ზომიერი წრეები მთავრობაში სათანამშრომლოთ არ იქნებიან მოწოდებული.

უმრავლესობა დიქტატურას ელის.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე მიღებული რეზოლუცია მეტად საგულისხმოა. მეუმრავლესეთა (სოც.-დემ. ბოლშევიკების) რეზოლუცია, რომელიც საბჭომ მიიღო, აი რას ამბობს: „ამიერიდან ყოველგვარ ყოყმანს ბოლო უნდა მოეღოს მმართველობის რეორგანიზაცია დაუყონებლივ მოხდეს, გაძევებულ იქმნას მმართველობიდან კადეტები და ცენზიანი ელემენტები, სასწრაფოთ უნდა შესდგეს მთავრობა რევოლუციურ პროლეტარიატის და გლეხობის წარმომადგენლობით, მოისპოს კერძო საკუთრება მემამულეთა მფლობელობის გამოუსყიდლათ. შემდეგ რეზოლუცია მოითხოვს, წარმოებაში მუშათა კონტროლის შემოღებას და მრეწველობის თვალსაჩინო დარგების ნაციონალიზაციას (სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადებას), წინადადებას ყველა მებრძოლთ საერთო დემოკრატიულ ზავის ჩამოსაგდებათ, მუშათა წინააღმდეგ რეპრესიების შეწყვეტას და ბრძოლის ველზე სიკვდილით დასჯის გაუქმებას, ლაშქრის კონტრ-რევოლუციურ შემადგენლობა-სარდლობისაგან გაწმენდას, **ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას**, პირველ რიგში ფინეთის და უკრაინის დაკმაყოფილებას, სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დათხოვნას და დამფუძნებელ კრების ახლავე მოწვევას.

რეზოლუციის გარჩევას ჩვენ ამჟამად არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ რომ, აწინდელი დრ. მმართველობა, დღეს იქნება თუ ხვალ, თავის ადგილს ან პროლეტარიატის დიქტატურას დაუთმობს და ან მემარცხენეთა თანხმობით შემდგარ კოალიციურ გამგებლობას.

რა არის დიქტატურა? დიქტატურა ჰქვია სრულიად განუსაზღვრელ, სახელმწიფოს ძირითად უფლებებზე დაუმყარებელ მთავრობას, რომელიც ყოველ კონსტიტუციის მაღლა სდგას.

რევოლუციურ შემოქმედებისთვის დიქტატურა საფრთხეს წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დიქტატურა იარაღზე და უხეშ ძალაზეა დაყრდნობილი. როგორიც არ უნდა იყოს დიქტატურა იგი ხალხის საერთო ნდობას ვერ მიიღებს და ხელოვნურ აგებულებას ვერ გასცილდება. არ ვიცით როგორი იქნება რუსეთის დიქტატურა. ახლო მომავალი ყველაფერს დაგვანახვებს. რევოლუციის ძნელი დღეები ახლა დგება.

დის.

როდემდის?

„კუზიანს სამარე გაასწორებსო“, —უთქვამს ჩვენს ძველებს, და არავის ასე ლამაზად **არ** უხდება ეს ანდაზა, როგორც საქართველოს ყოფილ ექსარხოსს პლატონს. ვერც სიტყვამ, ვერც კანონმა, ვერც ვერავითარმა ნაბიჯმა ვერ იმოქმედა ამ გაუსწორებელ ბერზე. როგორიც იყო რევოლუციამდის, იგივე დარჩა და ვგონებ უარესიც შეიქნა. პლატონს ჭირი წაუღია, რომ მარტო ის ყოფილიყო ასეთი უსამართლო შეხედულების საქართველოს ეკლესიაზე. სამწუხარო ის არის, რომ მისი აზრები და შეხედულება ყოვლად სამართლიანად ეჩვენებათ იმათაც კი, ვისაც თავი რევოლუციის და თავისუფლების მომხრეთ მიაჩნიათ.

116 წელი რუსის ეკლესიის მონობას განიცდიდა საქართველოს ეკლესია. ამ ხნის განმავლობაში მას ძარცვის და გლეჯის მეტი არა მიუღია რა მისგან, და, როდესაც დაჰკრა თავისუფლების ჟამმა და აფრიალდა დროშა, რომელზედაც გარკვეული ასოებით ეწერა, „თავისუფლება ყველასო“, აი ამ დროს საქართველოს ეკლესიაც დგამს დროის შესაფერ ნაბიჯს და აცხადებს მართლმორწმუნე ეკლესიის ავტოკეფალიას. პირველად მას თითქოს ერთნაირი კმაყოფილებით ხვდებიან განახლებულ რუსეთის წარმომადგენელნი და კიდეც ულოცავენ უფლებების აღდგენას. ავტოკეფალია კანონიერათ იქნა ცნობილი და ეკლესიის მეთაურნიც შეუდგენ ჩრდილოელთა მიერ შეგინებულ ეკლესიის მონათვლას და სათანადო მდგომარეობაში დაყენებას. მაგრამ რა გამოვიდა? დახავსებულ რუსეთის დროებით მიმალულნი ბიბილები მაშინვე გამოკოცდნენ თავის სოროებიდან და ასტეხეს განგაში: „არიქა, გვიშველეთ, საქართველოს ეკლესია გადაუდგა მართლმორწმუნეობას და ომი გამოუცხადა რუსის ეკლესიას, რუსები გარეკა, ჩვენი ბინები ყაჩაღურათ წაგვართვა, გაგვცარცვაო და სხვა და სხვა. ამ განგაშს სათავეში უდგა ძველი რუსეთის ერთი კერპთაყვანისმცემელთაგანი ბერი პლატონი, დაყენებული საქართველოს ეკლესიის ბატონპატრონათ რასპუტინებისაგან და მარჯვენა ხელი რუსეთის ბიუროკრატიისა. მან მოიწვია თავისთან რამდენიმე რუსის მღვდელი და გადასწყვიტა, რათაც უნდა დაჯდომოდა, ხელი შეეშალა ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიისათვის და ებრძოლნა მის წინააღმდეგ ყოველივე საშვალებით. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისათვის მან დიდძალი ტყვიაწამალი დახარჯა და მისი ისრები დღესაც, როცა უკვე დამტკიცებულია ავტოკეფალია და, სადაც არის, კათალიკოსიც უნდა იქნას არჩეული, არ გვაძლევენ მოსვენებას და იმ დასკვნამდის მივდივართ, რომ პლატონი და მისი დამქაშები იმდენად დაბრმავებულან, რომ კიდევ ვერ დაუჯერებიათ, თუ არ უნდათ დაიჯერონ, რომ საქართველოს ეკლესიამ უკვე გაითავისუფლა თავი ჩრდილოელთა მონობისაგან და ტყუილიღა იმედი, რომ ოდესმე კვლავ დაუჯერის ჩრდილოელთა „მართლმორწმუნეებს“ და მათ აჯეკნინოს ღვთის მშობლის ხვედრი საქრისტიანო. პლატონს და მის რაზმს ნუ თუ არა სჯერათ, რომ მათი ასეთი უსამართლო ბრძოლა ქართულ ეკლესიასთან მათვე დამარცხებით გათავდება. ნუ თუ ვერ გრძნობენ ისინი, რომ ამით იმ კეთილ-განწყობილებას, რომელიც უნდა არსებობდეს მომავალში ამ ორ ეკლესიის შორის, ხელს უშლიან და სიძულვილს თესვენ მათ შორის. საკვირველებაა პირდაპირ ის, რომ ახალი მთავრობა დღესაც კი არ უწევს ანგარიშს მის მიერვე კანონიერად ცნობილ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და უჯერის პლატონს და მის ძმებს. ჩვენ იმ დასკვნამდის მივდივართ, რომ დღესაც უნდობლათ ეპყრობა დროებითი მთავრობა ჩვენი ეკლესიის თავისუფლებას.

აბა, რით უნდა აიხსნას ის მეტად სამწუხარო გარემოება, რომ დროებითი მთავრობა გამოექომაგა მოსკოვის საეკლესიო კრებას, შიშველ ჭეშმარიტებათ აღიარა ის პროვოკაციული მოხსენება, რომელიც საქართველოს ყოფილ ექსარხოსმა საეკლესიო კრებაზე წაიკითხა მოსკოვში. რუსის ბერი აცხადებს, რომ საქართველოს ეკლესია გადაუდგა მართლ მორწმუნეობასო. არ ვიცით, რომელი უფრო მართლ-მორწმუნეა, საქართველოს ეკლესია თუ რუსეთისა? მაგრამ ამას თავი დავანებოთ და დაუბრუნდეთ ისევ მოსკოვის საეკლესიო თათბირს. პლატონის პროვოკაციული ცნობები, როგორც უკვე იცის მკითხველმა, უარყოფილ იქნა თბილისის მილიციის უფროსისაგან და ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა პლატონის ფიზიონომია და ზედმეტად დამტკიცდა, რომ პლატონი და მისი ძმები შეურიგებელი მტრები არიან ჩვენი ეკლესიის და მეტსაც ვიტყვით, ჩვენი ერისა.

რუსეთის ეკლესიის სულიერ მამებს საზოგადოთ თვის ქართულ ეკლესიის სწორ-უფლებიანობა ვერ აუტანიათ. საკვირველი ის კი არ არის, რომ ამას სჩადიან პლატონი და მისი თანამოაზრენი. საკვირველი ის არის, რომ ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ განახლებული რუსეთის მეთაურნი, და კერძოთ მისი წარმომადგენელნი ამიერ-კავკასიაში. ამ ექვსი თვის განმავლობაში პირველი ხომ არ არის პლატონისა და გრიგოლისაგან ასეთი პროვოკაციული ნაბიჯები. ჯერ იყო და სხდომისათვის ბინა არ მისცეს ქართველ სამღვდელოებას სიონის კანცელარიაში. მერმე იყო და ეპისკოპოსმა გრიგოლმა გადააყენა მღვდელი შანშიაშვილი, მხოლოდ იმისთვის, რომ ის ვერ შეურიგდა და ამხილა რუსიფიკატორ ილემენის „საგმირო“ საქმეებს. ეხლა იყო კიდევ და ყოფილი ექსარხოსის ბინა ყოფილ ხელმწიფის და მისი ოჯახის სურათებით ნახეს მორთული. მოსკოვის საეკლესიო კრებაზე პლატონის მოხსენებამ ხომ სრულიად გააშიშვლა პლატონი და მისი თანამოძმენი და დაგვანახვა, რომ ჩვენ საქმე გვქონია ისევ ძველი რუსეთის ურცხვ დამცველებთან.

პლატონი სწორედ რომ კონტრ-რევოლუციონერია და ისევე უნდა მოვექცეთ მას, როგორც ექცევიან საზოგადოთ ყოველ კონტრ-რევოლუციონერს. დღეს, როცა უკვე გამომჟღავნდა პლატონის პირვნება და მისი პროვოკაცია, ჩვენ ვგონი, და ეს დღესავით ნათელია, რომ მას აღარ უნდა ქონდეს ადგილი ჩვენში. აუცილებლათ უნდა შეზღუდულ იქნას მისი თავისუფლება, რათა კვლავ ვერ შესძლოს ასეთი კონტრ-რევოლუციური ნაბიჯის გადადგმა.

პლატონი დანიშნულია თბილისის მიტროპოლიტად. მას შემდეგ, რაც პლატონმა ჩაიდინა, შესაძლებელია რომ ის თბილისში მიტროპოლიტად დარჩეს? პლატონის თბილისის მიტროპოლიტად დანიშვნა ეს საქართველოს ეკლესიის და, მეტსაც ვიტყვით, ქართველი ერის სასაცილოდ აგდებად მიგვაჩნია. ეს არ უნდა მოხდეს, და თუ მოხდება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტოკეფალია ჩვენ არა გვქონია და ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ. მართლაც და ვარსებობთ თუ არა? როდემდის უნდა ვიმყოფებოდეთ მონობაში? როდემდის უნდა ვაგინებინოთ და ფეხით ვაჯეკნინოთ მართლ მორწმუნე ეკლესია პლატონს და მის ძმებს? როდემდის და როდემდის, ვკითხულობთ ჩვენ.

ილარიონ ჟღენტი.

კორნილოვის ამბოხების დასასრული.

ჰ. დ. ს.

დეპეშები.

გიორგის კავალერთა გაჩხრეკა.

მოსკოვი. აგვ. 30. უმაღლეს მთავარსარდლის ბრძანებით გიორგის კავალერთა კავშირის სადგომი გაჩხრიკეს, მაგრამ ისეთი ვერა აღმოაჩინეს რა, რომ კორნილოვთან კავშირი დაემტკიცებინათ.

ჩხრეკა კიევში.

კიევი. აგვ. 30 გაჩხრიკეს ადმინისტრაციის ყოფილი მოხელენი ჩხრეკა უშედეგო გამოდგა.

მინსკი. აგვ 30 მინსკში და ფრონტის გზებზე შეიპყრეს კორნილოვის რწმუნებული 40 ოფიცერი, მათში მთავარსარდალის ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე ნოვოსილცევიც.

უსსურიელ ყაზახთა დივიზია

პეტროგრადი. აგვ. 31. მინისტრ-თავმჯდომარეს უსსურიელთა დივიზია წარუდგა და განაცხადა, კონტრ-რევოლუციური ზრახვანი არა გვქონიაო. პეტროგრადში თუ მოვდიოდით მხოლოდ უფროსის განკარგულებას ვასრულებდითო დივიზია მუდამ ერთგული იყო დროებით მთავრობისა. მას კორნილოვის ზრახვანი არასოდეს არ ცოდნია. დივიზია პროტესტს აცხადებს სავინკოვის ცნობებზე, თითქოს დივიზია პეტროგრადში დროებით მთავრობის ჩამოსაგდებად მიდიოდეს.

სავინკოვის დათხოვა

პეტროგრადი. აგვ. 31. სამხედრო და საზღვაო სამინისტროების გამგე, პეტროგრადისა და მის მიდამოების სამხედრო გენერალ გუბერნატორი ბორის სავინკოვი თავისუფლდება ხსენებულ თანამდებობათაგან.

ახალი სამხედრო მინისტრი.

პეტროგრადი. აგვ. 31. მთავარ-შტაბის პოლკოვნიკი ვერხოვსკი სამხედრო მინისტრად დაინიშნება.

პეტროგრადის ჯარის უფროსი.

პეტროგრადი. გენერალ-ლეიტენანტი ტეპლოვი პეტროგრადის საგენერალ-გუბერნატორო ჯარის უფროსად დაინიშნა.

აღმასრულებელ კომიტეტთა სხდომა.

პეტროგრადი აგვ. 31. დღეს მოხდა ც. კ. და ს. დ. შეერთებული კრება იმ მოხსენებათა საკითხზე, რომელნიც გუშინ მოისმინეს. ბოლშევიკმა **კამენევმა** განაცხადა, კორნილოვის გამოსვლა ბურჟუაზიის შეთქმულებაა დემოკრატიის წინააღმდეგ. კოალიცია იმ ძალებით, რომელიც მოსკოვის თათბირზე როძიანკოსა და ალექსეევის გარშემო შეიკრიბა, ყოვლად შეუძლებელია. კოალიცია მხოლოდ ერთი შეიძლება. ისიც მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისა. შეერთებულ ს. დ. წარმომადგენელმა **სტეკლოვმა** სთქვა, მუშებისა, გლეხობისა და ჯარისკაცების გარდა აფიცრებსაც შეუძლიათ შევიდნენ კოალიციაში, თუ დემოკრატიულ სულით იქნებიან გამსჭვალულნი. კრებაზე ესერთა წარმომადგენლებიც გამოვიდნენ მენშევიკ ინტერნაციონალისტები და სხვები. კამათი ჯერ არ გათავებულა.

დღეს მოხდა პეტროგრადის საბჭოს დეპუტატების ყრილობა, რომელზედაც **წერეთელმა** მოხსენება წაიკითხა კომიტეტის მოქმედების შესახებ კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად. ამასთანავე შეეხო სამხედრო კომიტეტს, კორნილოვის შეთქმულობის ლიკვიდაციას, გაარკვია ისიც, თუ სად როგორ იქცევა რევოლუციური დემოკრატია და სხვა. მანვე ახსნა მიზეზი, თუ რატომ ვერ გაიმარჯვა კორნილოვმა და თანაც მოუწოდა, დემოკრატიამ ეს ერთობა არ უნდა დაარღვიოსო. წერეთლის სიტყვით საჭიროა კოალიციური მთავრობა, მაგრამ კადეტებს-კი ადგილი არ ექნებათ. წერეთელი წინადადებას იძლევა მოწვეულ იქმნეს მთელი რუსეთის დემოკრატიული ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა საზოგადო, პოლიტიკური და დემოკრატიული ჯგუფები, რათა ეხლავე საძირკველი ჩაეყაროს მომავალს დემოკრატიულს მთავრობასა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკებმა.

კრილოვის სიკვდილი.

პეტროგრადი. აგვ. 31. გენერალი კრილოვი გარდაიცვალა.

გენერალი ელსნერი.

პეტროგრადი. აგვ. 31. სამხრეთ-დასავლ. ფრონტის სასურსათო საქმეთა უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ელსნერი გადაყენებულია თანამდებობიდან და ამბოხების გამო სამართალში მიცემული.

მეამბოხე გენერალი კალედინი

პეტროგრადი. აგვ. 31 დონის ჯარის ატამანი, გენერალი კალედინი გადაყენებულია თანამდებობიდან და სამართალში მიცემული.

მდგომარეობა პროვინციაში.

პეტროგრადი. აგვ. 31. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორნილოვის აჯანყების შემდეგ მრავალი დეპეშა მოსდის სხვადასხვა ადგილებიდან ატყობინებენ, დროებით მთავრობას მხარს უჭერენ სხვადასხვა საზოგადო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები და პოლიტიკური პარტიები.

არეულობა ფინეთში.

ჰელსინგფორსი, აგვ. 30. [illegible] უფროსმა [illegible] მთავრობის ბრძანება არ შეასრულა და კორნილოვის წინააღმდეგ [illegible] არ მიიღო. ამის გამო ვიბორგის გარნიზონი ძლიერ ააშფოთა. აღელვებულმა ბრბომ გენერალი ორანოვსკი, მისი მომხრე გენ. სტეპანოვი და 7 სხვა ოფიცერი ზღვაში გადაყარა.

ჩრეკა და დაპატიმრება.

მოსკოვი.. აგვ. 31 რუსეთის აფიცერთა კავშირის მოწოდების გამო, რომ კორნილოვის ჯარებს მიმხრობოდნენ, მოსკოვში ჯარების უფროსის ბრძანების თანახმათ გაჩხრიკეს მრავალი დაწესებულება, რასაც სამხედრო და სახაზინო დანიშნულება ჰქონდა. დაპატიმრებული არიან პოლკოვნიკი კაზაჩკოვი და გიორგის კავალერთა კავშირის, კომიტეტის თავმჯდომარე.

მოსკოვის ოფიცრები.

პეტროგრადი. აგვ. 31. მოსკოვის ოფიცერთა საბჭომ მოწოდებით მიმართა ოფიცრებს და მოსკოვის მეციხოვნეთა სამხედრო პირებს. მოუწოდებენ: დაიცვან სამშობლო მთავრობის და ხალხის მოღალატისაგან.

მესამე ლაშქარში

პეტროგრადი. აგვ. 31. დროებითმა მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „მე-3-ე ლაშქრის საგანგებო კომიტეტი სალამს უძღვნის კერენსკის როგორც რუსეთის ერის ბელადს და სწამს, რომ მისი ზომები ძირიანად აღმოფხვრის ყოველივე კონტრევოლუციურ განზრახვას.

მთავრობის კრიზისი და პრესა.

პეტროგრადი. აგვ. 31. სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანოს „ვოლია ნაროდა“, პლეხანოვის გაზეთის „ედინსტვოს“ რედაქციები და სახალხო-სოციალისტურ პარტიის ორგანოს „ნაროდნოე სლოვოს“ რედაქცია მოწოდებით მიმართვენ მოქალაქეთ, რომ ყოველი ძალღონე მთავრობის მხარის დაჭერას შეალიონ. ეცადნენ, რომ მთავრობამ შესძლოს მისი პოლიტიკური უფლებანი გააძლიეროს, რაც აუცილებლივ საჭიროა ანარქისტებთან და კონტრ-რევოლიუციონერებთან საბრძოლველად და ეკონომიურ დარღვევის თავიდან ასაცილებლად, რომ შესაძლო შეიქმნეს მრისხანე მტერთან ბრძოლა. რაც შეეხება ამ მტერთან ბრძოლას—ნათქვამია მოწოდებაში—თქვენ მოქალაქენო, ხელს ნუ შეუშლით მთავრობას მშრომელთა საერთაშორისო ძმობა-ერთობის შესახებ ყალბ დასკვნით. რუსეთი ეხლა თავს იცავს, გერმანელის გამარჯვება პოლიტიკურათ დაამონავებს რუსეთს, გაუძნელებს თვით დაცვას, მაშასადამე, იგი ვნებას მიაყენებს რუსეთს და მასთან ერთად მთელი ქვეყნის რევოლუციურ დემოკრატიას. ჩვენ სამშობლომ ერთში ორი უნდა აირჩიოს: ან დაღუპვა, ანდა მოკავშირეებთან ერთად მედგარ ომის განგრძელება. მოგიწოდებთ: შემოკრბით მთავრობის გარშემო რევოლუციის დასაცველად, რომ მან მტრის წინააღმდეგობის გაწევა შესძლოს.

„დეზერტირები“-ს დივიზია კერენსკის წინაშე.

პეტროგრადი. აგვისტოს 31. მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკის „ტუზემცების“ დივიზიის დელეგაცია წარუდგა. დელეგაციაში 58 კაცი იყო. დელეგაციას მეთაურობდენ სადივიზიო კომიტეტის თავმჯდომარე პოლკოვნიკი ყირიმ-გირეი და დივიზიის უფროსი თავადი ბაგრატიონი. მათ კერენსკის გადასცეს „ტუზემცების“ ყველა პოლკების ერთხმით მიღებული რეზოლუცია. რეზოლუციაში ნათქვამია, დროებით მთავრობის გარდა სხვას არავის დაემორჩილებიო. კერენსკიმ მადლობა გადაუხადა დელეგატებს.

თანამდებობიდან განთავისუფლება.

პეტროგრადი. აგვისტოს 31. უმაღლესი კომისარი ფილონენკო თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

კორნილოვის საქმეების ჩაბარება.

პეტროგრადი. აგვისტოს 31. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსი 30 აგვისტოს საღამოს ბანაკში წავიდა კორნილოვის საქმეების ჩასაბარებლად. იმავ საღამოს გენერალი კრიმოვი პეტროგრადს მოვიდა. კრიმოვმა „ტუზემცები“-ს დივიზიას უბრძანა, დროებით მთავრობას და-

ნებლითი. 30 აგვისტოს ღილას კრიმოვი მინისტრ-თავმჯდომარეს ეწვია საზამთრო სასახლეში. იქიდან კრიმოვი შტაბ-როტმისტრის [illegible] ბინაზე მივიდა. აქ მან [illegible] ბრაუნინგი [illegible] გულში [illegible]. კრიმოვი საავადმყოფოში არის [illegible].

კორნილოვის დაჭერა.

პეტროგრადი. სექტემბრის 1. საღამოს [illegible] გარნიზონის [illegible] გადევნა. ხოლო საღამოს ათ საათზე შეიპყრეს გენერლები: კორნილოვი, [illegible], [illegible], რომანოვსკი, [illegible]. საღამოს 11 საათზე მივიდა პროკურორი შაბლოვსკის მეთაურობით საგამომძიებლო კომისია.

ყაზახთა დელეგაცია.

დონის ყაზახთა პირველ დივიზიის დეპუტაციამ მინისტრ-თავმჯდომარეს უთხრა; აქამდე გვატყუებდენ, ამიერიდან კი დროებითი მთავრობის მომხრე ვართო.

მთავარი კომიტეტის სხდომა.

პეტროგრადი. სექტემბრის 1. მუშათა დეპუტატების მთავარ აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებულ კრებაზე ირჩეოდა კითხვა მთავრობის ძალის აღდგენის შესახებ. სკობელევმა სთქვა, კოალიციის პრინციპს ვიცავდითო. ბოგდანოვმა მენშევიკ სოციალ-დემოკრატთა სახელით კოალიციის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბოლშევიკმა რიაზანოვმა დაჟინებით მოითხოვა, ისეთი მთავრობა უნდა შევქმნათ, რომელიც დემოკრატიის წინაშე პასუხისმგებელი იქნებაო.

კორნილოვის ჯარის შეჩერება.

დვინსკი. სექტ. 1 დასავლეთის ასპარეზის კომიტეტის თანაშემწე მოისეენკო დეპეშით იტყობინება: ალექსეევთან მოლაპარაკების შემდეგ შესაძლოთ ვცანით ამბოხის უსისხლოდ დამთავრება. ამიტომ ჩვენი ჯარები მოგვილევიდან 75 ვერსტის მანძილზე შევაჩერეთ. გარდა ამისა ვუბრძანეთ ბანაკის შიმდებ რკინის-გზებს, შეცვალონ ძველი ბრძანება ყველას ასპარეზზე გაშვების შესახებ. 1 სექტემბერს ღამით დასავლეთის ასპარეზის კომისარმა დანილოვმა ბრძანება მიიღო ბანკისკენ გამგზავრებულიყო.

მიღებულ ცნობების მიხედვით კორნილოვის ჯარს 12 ჯავშნიანი ავტომობილი ყავდა, ოთხი ჰაეროპლანი და 5,000 ჯარის კაცი. [illegible] მოგვილევისკენ წასვლამდე თავის ძალებს მოგვილევთან დაკავშირებულ პუნქტებში მოუყარა თავი.

უცხოეთი.

პ დ. ს.

დეპეშები.

არგენტინის მისია.

ნიუიორკი აგვისტოს 31. ბუენოს აირესიდან დეპეშა მოვიდა, არგენტინის მთავრობამ გერმანიის მისია გაუგზავნა, რათა გერმანეთის რწმუნებულს გრაფ ლიუქსემბურგს პასპორტი მისცენო.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის ქალაქის თავად არჩეულ იქმნა **დ. ი. კალანდარაშვილი** (სოც. დემ.) ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ალ. ივ. **ჯაფარიძე**, ქალაქის საბჭოს მდივნად **დ. აბალიანი**, წევრად **მეფისაშვილი**. გამგეობის დანარჩენ წევრების არჩევანი ჯერ არ მომხდარა.

◆ **საგუბ. ალმ. კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება.** ქორჩილის (სამტრედიის მახლობლად არის) უენის ამერიკულ ვაზის სანერგეს გამგე აუწყებდა ქუთ. საგუბერნ. ალმ. კომიტეტს: სოფ. საკამოჩინებულოს საზ. ალმ. კომიტეტის წევრები მას სთხოვენ, რომ ამიერიდან ქორჩილის ამერიკული ვაზის სანერგე, როგორც სახაზინო მამულზე მოწყობილი, მთელ შენობით და სამუშაო ნივთებით გადადის ხალხის ხელში, რის რეალურათ განხორციელებას ისინი კიდეც შეუდგომიან. საგუბერნიო ალმ. კომიტეტის პრეზიდიუმმა იქონია ამის შესახებ მსჯელობა და დაადგინა ეცნობოს საგუბერნიო ალმ. კომიტეტის წევრებს, რომ მათ ამის უფლება არა აქვთ. ხალხს უნდა განემარტოს, რომ სახაზინო ქონების და მით უმეტეს ისეთი სასარგებლო დაწესებულების, როგორიც არის ამერიკულ ვაზის სანერგეს მისაკუთრება, არავის არ შეუძლია.

◆ **ცნობა.** თბილისის სასამართლო პალატა ეკითხებოდა ქუთ. გუბ. ალმ. კომიტეტს, თუ როგორ და ვის განკარგულებით გაათავისუფლეს მარტის 23-ს ქუთაისის ციხიდან ტუსაღები. საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი [illegible] აუწყებს, რომ ტუსაღები განთავისუფლებული იქმნენ ხალხის მოთხოვნით და ამასთანავე ყველა ტუსაღს ხელწერილი ჩამოართვა, რომ თავის ნებით დაბრუნდებოდა სატუსაღოში.

◆ **დანიშვნა.** ლეჩხუმის სახალხო მილიციის უფროსად დროებით დაინიშნა მე 110 ქვეითა სათადარიგო პოლკის ჯარის კაცი ე. გოლეთიანი.

◆ **სამსახურიდან დათხოვნა.** გუბერნიის კომისარმა ქ. სენაკის კომისარიატის მდივანი ელიოზ. ცხადაია სამსახურიდან დაითხოვა.

◆ **გუბერნიის კომისრის წასვლა** გუბერნიის კომისარი ბ-ნი გრ. გიორგაძე კომისრების თათბირზე დასასწრებლად ენკენისთვის 3 ს თბილისს გაემგზავრა.

◆ **შემოწირულება.** კომერსანტმა გიორგი ტყეშელაშვილმა საქართველოს ავტოკეფალიის სასარგებლოდ შესწირა 100 მან.

◆ **დეკანოზ იონა მარგიანის საქმე.** ამას წინათ ლეჩხუმის მაზრიდან დატუსაღებული ჩამოიყვანეს დეკანოზი იონა მარგიანი. ლეჩხუმის მაზრის ალმ. კომიტეტი მარგიანს რეაქციულ მოქმედებას სწამებდა. გუბერნიის კომისრის განკარგულებით ამ საქმის საწრაფოთ გამოძიება დაევალა ადგილობრივ კომისიას. გუბერნიის კომისრის მოთხოვნით გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებათ სამღვდელოების მხრით გაიგზავნა მღ. ალ. გერსამია.

◆ **ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოს** უფროსის შტატის გარეშე თანაშემწეთ დაინიშნა ნესტორ ასათიანი.

◆ **მუქარის წერილი.** შუშის საწყობის პატრონს ნიკო ბარკალაიას შემდეგი შინაარსის მუქარის წერილი მოუვიდა აგვისტოს 25 ს: „მეგობარო ნიკო! აგვისტოს 28-სთვის შენ ეზოში, რომ ხეა იმის ქვეშ დასდე 3,000 მან. თუ არ გინდა ერთ მანეთიან ტყვიას შეეწირო და შენი სიძე არ დაჰკარგოო“.

◆ **გაქცევის ცდა.** ქუთ. საგუბერნიო სატუსაღოში მე—2 და მე-5 საკანის ტუსაღებს ფანჯარისთვის რკინის ჩარჩოები მოუმტვრევიათ და აპირებდენ გაქცევას, **მაგრამ** ციხის მთავრობამ დროზე შეამჩნია და განზრახვა ჩაუშალა. ამ საქმის მომწყობნი აღმოჩნდენ ქორქია კეტია, თოფურია, ბურულავა და რობაქიძე.

◆ **ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინადადება.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი წინადადებას აძლევს მაზრის, სოფლის და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, მოკლე ხანში შეატყობინოს მას თავ-თავისი შემადგენლობა და კომისარების ვინაობა, რომ ამით საგანგებო კომიტეტს საშვალება მიეცეს იქონიოს ნამდვილი წარმოდგენა სამაზრო სასოფლო და სარაიონო მმართველობის შესახებ.

ბათომი. —

საქართველოს სამოციქულო საკათალიკოსო ეკლესიის კრებისათვის ბათომის ქართველებმა აირჩიეს საორგანიზაციო კომისია, რომელიც არჩევნებისათვის წინასწარ მზადებას შეუდგა. შეიმუშავა არჩევნების მოწყობის ტეხნიკური გეგმა და გამოაცხადა გაზეთში, მოწოდებანი. მიუხედავათ იმისა, რომ განუწყვეტელი წვიმა იყო; ქუჩებში მუხლამდის წყალი იდგა წვიმისაგან, წირვას საკმაო რიცხვი დაესწრო და მიიღო მონაწილეობა არჩევნებში ეგრედ წოდებულ ძველს საკათედრო ტაძარში ამრჩევლებად ბათ არჩეულ იქმნენ გრ. ელიავა და ლ. ქიქოძე სასაფლაოს ეკლესიაზე პანტელაძე.

აგვისტოს 30-ს თავი მოიყარეს ამრჩევლებმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროში და მცირე მოლაპარაკების შემდეგ აირჩიეს დელეგატებათ საქართველოს სამოციქულო საკათოლიკოსო ეკლესიის კრებაზე დასასწრებლად დეკ. არსენ თოიძე, მედავითნე ვალერიან ძნელაძე და ერისკაცთაგან გრ. ელიავა და ლ. ქიქოძე.

პროვინცია.

— **ფოთის არჩევნები.** ფოთის ქალაქის თავის მოადგილე ხოშტარია გუბერნიის კომისარს სთხოვს, რომ დაჩქარდეს ფოთის ქალაქის არჩევნების დამტკიცება.

— **საქმეები ქართულ ენაზე.** გურიის სასოფლო სამეურნეო კავშირი, რომელიც ოზურგეთში არსებობს გუბერნიის კომისარს სთხოვს დაამტკიცოს საქმეების ქართულ ენაზე წარმოება.

— **500 მანეთის მოთხოვნა.** ზუგდიდის კომისარი თხოულობს, რომ საწრაფოთ გადაეგზავნოს 500 მან. აქ მყოფ 15 ჯარ. კაცის [illegible] უზრუნველყოფისთვის.

— **ჯარის მოთხოვნა.** ზუგდიდის ალმ. კომიტეტი თხოულობს, რომ აქ გამოგზავნილ იქმნეს რამდენიმე ათი ჯარის კაცი ქალაქის წესრიგის დასაცავათ.

— **ტყის გაჩეხა.** სალხინოდან იუწყებიან, რომ იქ გლეხები სჩეხენ ტყეს. გუბერნიის კომისარს სთხოვენ ზომების მიღებას.

— **სოფ. ჭრებალო (რაჭა).** ენკენისთვის 1-დან აქ არსდება უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი ორივე სქესთათვის სამეურნეო განყოფილებით. სკოლაში შესასვლელ თხოვნებს იღებს კაკო [illegible].

— **სოფ. ახუთი.** სოფ. ახუთის საზოგადოების სასკოლო სამზრუნველო კომიტეტი მადლობას უცხადებს პლატონ დავ. ჯაიანს და ანტონ ხარჩილავას, რომელთაგან პირველმა 100 მან. და მეორემ 50 მან. შესწირა ახლად გახსნილ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის სასარგებლოთ.

— **დანიშვნა.** ქვათარის სახალხო მილიციის უფროსათ დაინიშნა ბეს. [illegible].

— **შეკითხვა.** თბილისის ადგილობრივ ბრიგადის კომენდანტი ეკითხება ქუთ. გუბერნიის კომისარს, მიეცემა განმანაწილებელ გადასაგზავნ პუნქტებისათვის ცალკე შენობა.

— **ოზურგეთის** ციხის უფროსობა დროებით დაევალა ვლ. გოგორკაძეს.

— **დაჭრა.** სოფ. ფასკეთში ადგილობრივ მცხოვრებმა ჯაფარიძეებმა ტყის გამო ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს ერთმა ჯაფარიძემ რევოლვერით დასჭრა ამ სოფლის საზოგადოების კომისარი გრ. ჯაფარიძე.

— **სოფ სადმეტრევო.** ამას წინათ თავს დაესხენ ელენე ნიჟაბაძის ქალს და წაართვეს ათას ასი მანეთი.

— **ქ. ხონი.** გატეხეს სიმონ მაღაძის დუქანი.

— **ქ. ზესტაფონი.** დღეს, საღამოს, ქ. ზესტაფონში ადგილობრივ თეატრში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის მიერ გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო ვადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. წაკითხულ იქნება ლექცია, განსვენებულის ლექსები და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ ალექსანდრე თოიძე, ილარიონ ჟღენტი, ა. ლომთაძე და სხვანი.

— **ლექციები გურიაში.** დ. ჩოხატაურში, ხიდისთავში, ქ. ოზურგეთში, ბახვში და ლანჩხუთში ალექსანდრე თოიძე და ილარიონ ჟღენტი ამ მოკლე ხანში წაიკითხავენ ლექციებს შემდეგ თემებზე: პირველი — ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ძირითადი საფუძველი. მეორე — როგორ უნდა გადაწყდეს საქართველოში ეროვნული კითხვა. (ეროვნული კითხვა საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების მსჯავრის წინაშე).

ლექციების შემდეგ გაიმართება კამათი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთი. სტამბოლის ახალგაზეთა ოსმალთა შორის ამ წამათ აზრთა გაცვლა-გამოცვლა არის გამართული იმის შესახებ, თუ რომელ ერს მიეცეს ავტონომიური მმართველობა ოტომანთა იმპერიის საზღვრებში და რომელი ერი უფრო ღირსია ამის. — ოსმალეთში პურის კრიზისია, ამის გამო სტამბოლის მთავრობამ დაადგინა პურის და სხვა სურსათ-სანოვაგის გაცემ-განაწილება იმავე წესით მოხდეს, როგორც ეს გერმანეთშია. გამოცხადდება სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ყველა ბრძოლის ველს გადარჩენილი პროვინციელი მოვალეა მიწა დაამუშაოს.

რას ამბობს რუსეთის რევოლუციის შესახებ? ოსმალური „ტანინი“ ეხება რუსეთის რევოლუციას და შემდეგს სწერს: „უსისხლოთ რევოლუცია არსად მომხდარა. ამ მხრივ რუსეთის რევოლუცია საკვირველება რომ არის, მაგრამ არ გვჯერა, რომ რუსეთის რევოლუცია მართლა სისხლის დაუღვრელათ დაგვირგვინდეს. გაზეთს მოჰყავს ეპიზოდები ოსმალეთის რევოლუციიდან, როდესაც მუხთარფაშის ლაშქარი მაკედონიიდან და თრაკიიდან რომ სტამბოლის წინააღმდეგ დაიძრა, შავტაბასთან (ოქლიის ოსმალეთში) დიდი ბრძოლა გაიმართა, სადაც დიდძალი ხალხი გაიჟლიტა. რუსეთის რევოლუცია გარეშე ქვეყნებში ეჭვს [illegible], მაგრამ მის დღემდის [illegible] იჩენა. ვისაც რევოლუცია სჯერია და იგი მისი სოციალ ცხოვრების გადასაქცევად აუცილებელი გამხდარა, ის თვითონ დაუფიქრებლათ მოახდენს რევოლუციას, რომელიც ყოველთვის უპირველეს ყოვლისა ეროვნული უნდა იყოს.

შავი ჭირი ქ. ასტრახანის მახლობლათ შავი ჭირი გაჩენილა და უკვე რამდენიმე კაცი უმსხვერპლია. სანიტარული მოქმედება არ სწარმოებს.

ბანკების ჩივილი. სამრეწველო და საურთიერთო ბანკები სჩივიან, რომ უკანასკნელ დროს საოცრათ შემცირდა ოპერაციები დაიკლო ფულის ტრიალმა.

ფაბრიკებისა და მექარხნეების განცხადება. პეტრეს ქალაქში 13 მსხვილმა ვაჭარმა და მექარხნემ შემდეგი განცხადება წარუდგინა ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისთან მებრძოლ კომიტეტს: „შემოსავალმა ძალზე იკლო, გასავალი გაორკეცდა. ამჟამათ ჩვენ ვხარჯავთ იმ ძირითად თანხას, რაც წარსულში მოგებით დაგვიგროვდა ასეთ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია საქმის გაგრძელება და იძულებული ვართ ლიკვიდაცია მოვახდინოთო“

უმუშევარნი. მოსკოვსა და პეტრეს ქალაქში ბირჟებზე დიდძალი უმუშევარი ტრიალებს. განცვიფრებაში არიან, დღეს ამ მუშა ხელის კრიზისის ხანაში, საიდან მოდის ამდენი უმუშევარი. ფიქრობენ, რომ უმუშევართ შორის ბევრი ჯარიდან გამოქცეული არის, მაგრამ უმთავრესათ უმუშევართა რიცხვი გაადიდა სავაჭროებისა და ფაბრიკა ქარხნების დაკეტვა-ლიკვიდაციამ.

ქალაქის ახალი საბჭოს სხდომა.

კრების გახსნის შემდეგ დაისვა კითხვა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ. მაგრამ ვიდრე ეს საკითხი გაირჩეოდა, კრებამ იმსჯელა საბჭოს თავმჯდომარის ჯამაგირზე. კრებამ ჯერ საბჭოს თავმჯდომარის დაჯილდოების საკითხს დასტური დასვა პრინციპიალად, შემდეგ ჯერი მიდგა ჯამაგირის რაოდენობის განსაზღვრაზე.

ბ-ნმა მელ. გობეჩიამ წინადადება შეიტანა თავმჯდომარეს ჯამაგირი 6000 მანეთი მისცემოდა ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ტრ. ჯაფარიძემაც. ს. ფ. წარმომადგენელმა ა. ფალავამ 4000 მანეთი დააწერა, ს. დ. წინადადებით ჯამაგირად საკმაო 5000 მანეთი. კენჭის ყრის დროს ბ-ნმა გობეჩიამ თავისი წინადადება მოხსნა. კენჭი უყარეს 5000 მანეთს და 4000 მანეთს.

5000-ს მანეთს მისცეს თეთრი 46.
შავი 11.

4000-ს მისცეს თეთრი ხმა 9.
შავი 46.

ამგვარად გადაწყდა, რომ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს წელიწადში დაენიშნოს 5000 მანეთი. ამის შემდეგ ფრაქციებს კანდიდატები უნდა დაესახელებინათ. ს. დ. თავის მხრით დაასახელეს ალექსანდრე ივანეს ძე ჯაფარიძე. სოც.-ფედ. სოც.-რევ. და ეროვნულ-დემოკრატები ამ კანდიდატურას ერთხმათ შეუერთდენ. კენჭის ყრისას ალ. ჯაფარიძის კანდიდატურას თეთრი ხმა მოუვიდა 50.
შავი 4.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ალ. ივ. ჯაფარიძე აირჩიეს. ახალმა თავმჯდომარემ მისასალმებელ სიტყვაში ხმოსანთა წინაშე აღთქმა დასდო, თქვენ მიერ გადმოცემულ წმიდა დროშას ვეცდები რიგიანად გავუძღვე და თქვენი დავალებანი ავასრულო და ნდობა გავამართლოო. შემდეგ დაისვა კითხვა ქალაქის გამგეობის წევრთა რიცხვისა, მდივნების რიცხვისა და მათი ჯამაგირის განსაზღვრის შესახებ. ს. რ. კაკაბაძემ წინადადება შეიტანა საგანგებო კომისიის დაარსების შესახებ. მაგრამ კრებამ ეს აზრი უარჰყო. ბ-ნ გობეჩიას წინადადება შეტანილ იქმნა განსახილველად კითხვა თარჯიმნის დანიშვნის შესახებ. ვიდრე ქალაქის გამგეობის წევრის რიცხვებს განსაზღვრა მოხდებოდა, ბ-ნმა ა. ფალავამ და შემდეგ თავმჯდომარემ სასურველად სცნეს გამგეობის რომელიმე ძველ წევრს გაეცნო კრებისათვის გამგეობის წევრთა მოღვაწეობა, რომ ამით [illegible] რიცხვის განსაზღვრაში. მომხსენებლად [illegible] მოსიძე.

გრ. ურატაძე ძველ გამგეობის წევრთა რიცხვს დღეს ცოტად სთვლის და საჭიროდ სცნობს [illegible] გამგეობის წევრთა რიცხვი [illegible] იქნეს [illegible]. ამ აში იქნებიან ქალაქის მოურავი, მისი მოადგილე და 3 გამგეობის წევრი. [illegible] ქალაქის გამგეობას აწი გაცილებით მეტი საქმე დააწვებაო. ამ წინადადებას ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი მხარს უჭერენ. მიღებულ იქმნა აგრეთვე ბ. გობეჩიას წინადადება, რომ გამგეობის ყველა წევრს თანასწორი ჯამაგირი მიეცეს. ჯამაგირად განსაზღვრული გამგეობის წევრთათვის 5000 მანეთი. კენჭის ყრის დროს 5000 მანეთს გამგეობის წევრთათვის შავი კენჭი მისცეს 3.
თეთრი 53.

მდივნების რიცხვი კრებამ 2 კაცით განსაზღვრა, ერთი იქნება საბჭოს მდივანი, მეორეც ქალაქის გამგეობისა. იყო წინადადება, რომ გამგეობის წევრებსა და მდივნებს ჯამაგირი თანასწორი მიეცემოდა, მაგრამ კრებამ ეს აზრი უარჰყო. ხოლო თვით მდივნებს ორივეს თანასწორი გასამრჯელო მიეცემათ.

კრებამ მათვის გადასწყვიტა წელიწადში 4000 მანეთი ამ წინადადებას თეთრი მისცეს 52
შავი 4.

ამის შემდეგ, რადგან უკვე გვიანია, წინადადება შემოდის კრება დაიხუროს. ქალაქის მოურავისა, გამგეობის წევრთა მდივნების არჩევა გადაიდო 2 ენკენისთვისთვის. ამის შემდეგ შეთანხმებული და ახალ მუშაობაში ჩაბმული ახალი საბჭო და სტუმრები ღამის 1 საათზე დაიშალენ.

2 ენკენისთვე.

კრების გახსნამდის.

2 ენკენისთვეს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ახალი საბჭოს მეორე სხდომა.

8 საათზე დარბაზი მსმენელებით აივსო. ელოდებიან კრების გახსნას. ხმოსნებს მოუსვენრობა ეჩნევათ. დარბაზიდან ჯგუფ-ჯგუფათ გადიან. რაღაცაზე თათბირობენ. მარჯვენა ფრთიდან მარცხნით წარმ შეკრულნი გასჩერებიან. შესრულდა 9 საათი და კრება კვლავ არ გახსნილა. პრესის წარმომადგენელთა და მსმენელთა საყვედური მოისმის. 9 ნახ. საათზე საბჭოს თავმჯდომარე ალ. ი. ჯაფარიძე მაგიდას უახლოვდება. ზარს აწკარუნებს. ყველას სთხოვს თავიანთი ადგილები დაიკავონ. კრებას გახსნილად აცხადებს; კრებას 66 ხმოსნიდან 55 დაესწრო.

დეპეშა.

საბჭოს თავმჯდომარე ალ. ჯაფარიძე კითხულობს დეპეშის ტექსტს, რომელიც გაეგზავნა სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

დეპეშის შინაარსი ასეთია: —

„ქუთაისის ქალაქის ახალმა საბჭომ თავის პირველ სხდომაზე იქონია რა მსჯელობა უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბებზე, მხურვალეთ მიესალმება რუსეთის დემოკრატიის არჩეულთ დიდი რევოლუციური რუსეთის დემოკრატიული პრინციპების განხორციელებლათ გმირულ ბრძოლისათვის. ღრმად გვწამს, რომ მთელი რუსეთის დემოკრატიის შეერთებული ძალა იქნება თავდები ყველა ერის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა“.

არჩევნები.

დეპეშის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე მოაგონებს კრებას ქალაქის თვითმართველობის გამგეობის შემადგენლობის შესახებ. ასარჩევია: ქალაქის თავი, ერთი მისი მოადგილე, სამი გამგეობის წევრი, ერთი მდივანი თვითმართველობისა და ერთიც საბჭოსი. თავმჯდომარე ითხოვს, რომ წამოაყენონ ამ თანამდებობაზე კანდიდატები.

გრ. გიორგაძე: ჩვენ ს.-დემოკრატების ფრაქციას [illegible] ასეთი წინადადება; აირჩიოთ დღეს მხოლოდ ქალაქის თავი და ამ თანამდებობაზე ვასახელებთ ჩვენს ამხანაგს დ. ი. კალანდარაშვილს.

ი. გობეჩია: ს.-რევ. (მეტად აღელვებულია) ეს პირველი ხალხური საბჭო ჩვენ გვაკისრებდა დიდ მოვალეობას, რაც სინდისიერათ უნდა შევასრულოთ. დღეს როგორც რუსეთი ისე ჩვენი ქვეყანა საქართველო ცეცხლის ალში იმყოფება და, ეს ალი რომ არ ჩაქრეს, საჭიროა ყველგან შეთანხმება, ყველგან ერთობა, მუშაობა, რევოლუციური ძალების შე-

ერთება. მაგრამ სამწუხაროთ ს.-დემოკრატებმა ამის შეძლება არ მოგვცეს და როგორც გაძლიერებულებმა გაბატონება მოიწადინეს. ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა გვყოლოდა წევრები გამგეობაში, მაგრამ ეს არ მოხერხდა. რაც შეეხება ესდეკების კანდიდატს, მის საწინააღმდეგოთ ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ არჩევნების დროს ჩვენი პარტია თავს შეიკავებს. (ტაში).

ალ. წერეთელი: (ს.-ფედ.) ჩვენი ფრაქცია მომხრე იყო შეთანხმებისა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ჩვენ არ ვივიწყებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებსაც და აქაც სასურველი იყო რევოლუციური ძალების შეერთება. ახლა კი ჩვენ გარემოება ნებას არ გვაძლევს ჩვენი კანდიდატი წამოვაყენოთ, დ. კალანდარაშვილის წინააღმდეგ არ გავილაშქრებთ, მაგრამ არჩევნებში თავს შევიკავებთ.

გრ. ურატაძე: ჩვენს პარტიას აქ კამათის გამართვა საჭიროთ არ მიაჩნია, მხოლოდ ჩემი სიტყვა გამოიწვია ი. გობეჩიას ბრალდებამ. ის ბრალსა გვდებს, ჩვენ ვითომც შეთანხმება არ გვინდოდეს, რადგანაც აქ ყველაზე მეტი ვართ. მე ხმა მაღლა აღვიარებ, რომ ჩვენ დიდი ზომები მივიღეთ შეთანხმების მოსაგვარებლათ მაგრამ, იმათ მუშაობაზე უარი განაცხადეს. და რადგანაც შეერთება არ მოხდა, ჩვენ ბრალი არ უნდა დაგვედვას. ჩვენ არამც თუ სოციალისტურ პარტიებს, არამედ ნაც.-დემოკრატებსაც მივმართეთ, რომ გამგეობაში თავისი კაცი აერჩიათ. ჩვენ ყველა პარტიებს გავუწოდეთ ხელი და, თუ აქ შეთანხმება არ მოხდა, ეს ისევ მათი დანაშაულია. რაც შეეხება ქალაქის თავის ადგილს,—ეს ჩვენ გვეკუთვნის, უმრავლესობას, და კანდიდატიც წამოვაყენეთ.

ი. გობეჩია: ჩვენ მუშაობაზე უარი არ გაგვიცხადებია (ისმის ხმა მარცხნიდან:—გაჩერდი, თორემ ყველაფერს ვიტყვით. ორატორი ჩერდება. თავისიანები სიტყვის დასრულებას თხოულობენ.) ჩვენ გამგეობაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ, რადგანაც შეთანხმების პრინციპი დაცული არ იყო. რაც შეეხება სხვა და სხვა კომისიებს,—ჩვენ იქ ვიმუშავებთ.

გ. გველესიანი: ჩვენ მომხრენი ვიყავით საზოგადო მუშაობისა. შეთანხმება აუცილებლივ საჭირო იყო. მაგრამ, რადგანაც ეს არ მოხდა, ჩვენ გამგეობაში ვერ ვიმუშავებთ, რადგანაც სხვისი დადგენილების შესრულება ჩვენ მოგვიხდება. კომისიებში ყველგან მონაწილეობას მივიღებთ.

გრ. ურატაძე ეკითხება გველესიანს: მოგიწოდეთ შეთანხმებისაკენ თუ არა?—და განაგრძობს: თუ დემოკრატიის არჩეულთა დადგენილებას არ შეასრულებთ, ეს მონარხისტობა იქნება. თქვენ თუ მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებთ, ჩვენ ვიმუშავებთ და, როდესაც ამას ვერ შევძლებთ, ჩვენ ხმა მაღლა განვაცხადებთ ამას და თავს დავანებებთ.

გ. გველესიანი ამბობს, რომ მოვალეობა ჩვენი უმცირესობისა გვავალებს დავადგეთ ასეთ ტაქტიკას და გამგეობაში მონაწილეობა არ მივიღოთ.

კრების თხოვნით კამათი შეწყდა.

ა. ფალავა მოითხოვს გამგეობის ყველა წევრებს ერთად ეყაროს კენჭი.

ი. გობეჩია ემხრობა ამ წინადადებას.

გ. ურატაძე: ჩვენ გვეგონა შეთანხმება მოხდებოდა. ქალაქის თავის ადგილის მეტი გვინდოდა სხვა პარტიებისათვის დაგვეთმო. დღეს ყველა კანდიდატი მზად არა გვყავს. მხოლოდ გამგეობის წევრათ ვასახელებთ—მეფისოვს (სოც.-დემ.) და თვითმართველობის მდივნათ კი დ. ავალიანს (სოც.-ფედ.).

ყუთს უდგამენ.

დ. ი. კალანდარიშვილმა მიიღო 1 შავი და 38 თეთრი კენჭი, მეფისოვმა 1 შავი და 37 თეთრი და დ. ავალიანმა 42 თეთრი კენჭი. შემდეგი კრების მოწვევა და დროს დანიშვნა მიენდო საბჭოს თავმჯდომარეს ალ. ჯაფარიძეს.

კრება თავმჯდომარემ საღამოს 11 ნახ. საათზე დახურულათ გამოაცხადა.

ახალი ქალაქის თავის სიტყვა.

კრების დახურვის შემდეგ დარბაზში გამოჩნდა ახლად არჩეული ქალაქის თავი. ყველა ტაშით შეხვდა. ქალაქის თავმა სიტყვა წარმოსთქვა:

— ამხანაგებო და მოქალაქენო ხმოსნებო! ნება მიბოძეთ მადლობა გიძღვნათ იმ ნდობისათვის, რომელიც მე გამოიცხადეთ, აქ მე ტაშით შემომხვდენ. მე არ მიყვარს ტაში. ეს ტაში ეკუთვნის იმ პარტიას, რომელმაც მე წამომაყენა და ვიმედოვნებ, რომ მის ნდობას გავამართლებ. მძიმე დრო სდგას. არ დავმალავ, რომ ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც ქუთაისია, ძნელია მუშაობა. და ვფიქრობ, შევძლებ თუ არა მუშაობას? და როდესაც კვლავ დავეკითხე ჩემს თავს, მაქვს ნება თუ არა უარის განცხადებისათვის. თავისთავათ ასეთი პასუხი დამებადა: — არ მაქვს.

ახლა ყველა რევოლიუციური ძალები უნდა შეკავშირდეს და ერთად იმუშაონ.

ძნელია მუნიციპალური მუშაობა, როდესაც ერთმანეთზე გადახლართულნი შიმშილობა, ომი და კონტრ რევოლუცია, მაგრამ ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ რევოლუციურ დემოკრატიას შეუძლია არა მარტო დამსხვრევა ძველი რეჟიმისა, არამედ გაძლიერებაც ჩვენი უფლებისა.

მე დღეს არ გამოვსულვარ ქალაქის პირ-ვარიმზე სალაპარაკოთ, არც პროგრამაზე; მხოლოდ მსურდა მადლობა მეთქვა და მეთხოვა ყველა პარტიისათვის სამუშაოთ შეკავშირებულიყავით. შეიძლება გამგეობაში ყველა პარტიებმა არ იმუშაოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ მუშაობა არ სურდეთ, კომისიებში ყველა იმუშავებს.

თუ შეთანხმება არ მოხდა, ეს კერძოთ ჩემთვის არის ცუდი. მე იმედი მქონდა, რომ ყველა პარტიები მიიღებდენ გამგეობაში მონაწილეობას. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ მუშაობისაკენ და რეაქციის გასანადგურებლათ. დამფუძნებელი კრების ხელის შეწყობა ჩვენმა თვითმართველობამ უნდა იკისროს.

მაშ, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს ჩვენს რევოლუციურ თვითმართველობას! ნ.—ი.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.

3 ენკენისთვეს ქუთ. რეალური სასწავლებლის დარბაზში დანიშნული იყო ქუთაისის გუბერნის სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. წარმომადგენლები ყველა ფილიალურ განყოფილებიდან დაესწრო, სულ 103 კაცი და ქალი. აქედან 30 კაცის მანდატი უკანონოთ იქნა ცნობილი, რადგანაც ოზურგეთის მაზრის ფილიალურ განყოფილებებს შემდეგი შეცდომა, დაუშვია: 1) მანდატებს აწერს ხელს მხოლოდ თავჯდომარე და მდივანი და 2) იმდენი წარმომადგენლები გამოუგზავნია თვითეულ განყოფილებას რაც მათ კრებებზე დანასწრებ მასწავლებელთა რიცხვს არ შეეფერებოდა.

მიუხედავად ამისა, არჩეულ იქმნა სამანდატო კომისია, რომელსაც ხელმეორეთ მანდატების გარჩევა მიენდო. ამ კომისიამ საღამოს მეორე სხდომაზე კრებას განუცხადა, რომ მანდატები უკანონოთ ვსცანითო.

მიუხედავათ ამისა კრების უმეტესობამ დაადგინა, რადგანაც ამ ჟამად საქმე დაყოვნებას არ მოითხოვს და ყოველივე წუთი ძვირფასია ყრილობაზე დაუშვათ იმდენი წარმომადგენელი, რამდენიც მათ ადგილობრივ განყოფილებათა კრებებზე დანასწრებ მასწავლებელთა რიცხვს შეეფერებაო.

ამ დადგენილების შემდეგ ოზურგეთის წარმომადგენელნი დარბაზს სტოვებენ. მათ მიჰყვება ს.-დემოკრ. მასწავლებლები. დარბაზი მაინც გაჭედილი რჩება. მათი საქციელი დაგმობილ იქმნა რამდენიმე ორატორისაგან.

გაგზავნეს კაცი და შეუთვალეს წასულთ, დათმობა კრების უფლებას აღემატებოდა და დაბრუნებულიყვნენ, რომ მუშაობას შესდგომოდნენ, მაგრამ ასეთი პასუხი მოუვიდა კრებას: დაგვიბრუნდეს ჩვენი მანდატები იმ სახით, როგორც წარმოვადგინეთ და ჩაგვთვალეთ კანონიერ დელეგატებო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ცალკე შევიკრიბებით და საკითხებს გავარჩევთო.

გაიმართა ამის შესახებ კამათი და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს: ყოვლად შეუწყნარებელია მანდატების დაბრუნება, რადგანაც ეს ჩვენ საბუთებათ გამოგვადგება და მიეცეს მათ ასეთი წინადადება: თუ ისურვებენ, უფლებას მივსცემთ იმდენ წარმომადგენელს, რაც მათ უფლებას არ აღემატება და, თუ ამას არ ისურვებენ, აირჩეულ იქნეს ინტერ პარტიული კომისია, რომელშიდაც შევა ყველა პარტიებიდან თითო წარმომადგენელი, რომელის დადგენილებას ჩვენ დავემორჩილებითო.

არჩეულ იქნა [illegible] კაცი, რომ მათთვის ეს წინადადება გადაეცათ, მაგრამ ისინი დაშლილიყვნენ.

შემდეგ ყრილობამ დაადგინა შეიკრიბებით 4 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე მუშაობის გასაგძელებლათო.

ეს ფაქტები სწორეთ რომ დამაფიქრებელია. როდესაც ასეთ მძიმე დროს სახალხო მასწავლებლები ორ კრებას მხოლოდ კინკლაობას და ქიშპობას ანდომებენ.

წერილი გუმბრიდან.

ქ. გუმბრი. დიდიან რევოლუციის წარმოშობისა ექსცესებისა და პროვოკატორული გამოსვლების მხრით ამიერ კავკასიაში უმთავრესათ ყურადღებას იპყრობს ორი გუბერნია—განჯისა და ერევნისა.

ასეთი გამოსვლები ანგარიშის გასაწევი მით უფრო არის, რომ ეს ხდება ორ ერთა შორის გამწვავებული შუღლით, რაც ამ ბოლო ხანებში მძლავრათ ფეხს იდგამს და საშინელ ხასიათს ღებულობს. თუმცა სომხეთა და მუსულმანთა შეტაკება არ არის ახალი, იგი რევოლუციამდისაც ხდებოდა, მაგრამ ის საერთო ხასიათი, რაც ამ უკანასკნელ ხანებში მიიღო, ჩვენ გვაფიქრებს, რომ რევოლუციის მსვლელობას შეაფერხებს. მაგრამ ვისგანაც განზრახულ-მოწყობილი არ უნდა იყოს, ისეთი უდანაშაულო სისხლის ღვრა, როგორც ეს ქ. გუმბრში მოხდა 24 მარიამობისთვეს, დასაგმობი და გასაკიცხავია.

რა მოხდა?:—

დღის 1 საათი იქნებოდა. ბაზრის მახლობლათ რამდენიმე ჯარის-კაცს ჩვეულებრისამებრ თავი მოეყარათ და ხილს ყიდულობდა. მათთან მივიდა ვიღაც უცნობი პირი (სომეხი) და ისინი წააქეზა, რომ აგერ მუსულმანს მთელი გოდორი „პატრონები“ მიაქვსო. ჯარის კაცებმა იქვე მდგომ მორიგე მილიციონერს მოსთხოვეს, რომ შენიშნული მუსულმანი გაეჩხრიკა და დაეპატიმრებია. მილიციონერმა მათი მოთხოვნილება შეასრულა. გოდორში მხოლოდ ყურძენი აღმოჩნდა და გაჩხრეკის შემდეგ მუსულმანი გაუშვეს.

ბრბო და ჯარის-კაცები არ დარწმუნდენ. „შენც მუსულმანი ხარო“-და დაუწყს შეუბრალებლათ ცემა თვით მილიციონერს. ბრბომ იმატა, ჯარის-კაცები ყოველი კუთხიდან მოაწყდა. დაუწყს ძებნა მუსულმანებს და ვისაც კი წააწყდენ, ქვებით ქოლავდენ. დაარბიეს აგრეთვე რამდენიმე სავაჭრო და, რაც კი ხელში ხვდებოდათ, ყველაფერი მიჰქონდათ.

გვიან მოაღწია მილიციის შემადგენლობამ და, როგორც იქნა, სისხლის ღვრა შეჩერებულ იქმნა. დაწვრილებით გამორკვევის შემდეგ აღმოჩნდა 8 სრულად მკვდარი მუსულმანი და 38 მძიმეთ დასახიჩრებული.

ამავე დღეს დააპატიმრეს 3 სომეხი, რომელნიც ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გამორკვევით „ამ კონტრ-რეოლუციურ და პროვოკატორულ საქმეს უძღოდენ“.

26 მარიამობისთვეს, სოფ. კარაკლისში (გუმბრის მაზრა) გუმბრიდან გაგზავნილმა ჯარმა დააპატიმრა 80 სომეხი დეზერტირი ჯარის-კაცი და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს წარმოუდგინა;

ნ. ა-ნი.

ბათომის რამე-რუმე.

ომის დაწყებიდან ბათომში ყველაფერი შეიცვალა. საზოგადოთ ბათომი საქმიან ქალაქათ ითვლება. ძალიან ცოტას ნახავთ აქ იმდენ უსაქმურს, როგორც მაგ. ქუთაისში ჩილინგაროვის საკანდიტეროს წინ ან ბაღის კიდეზე თუ ბაღში. თუმცა სიმართლე რომ სთქვას, აქაც თითქმის ყველას ქუჩაზე ყავახანის წინ ნახავთ დილიდან საღამომდე მჯდომარეთ. განსხვავება ერთია. თუ ქუთაისში ფეხზე დგომით საწთლებივით ჩამომდნარან და ზოგიც ტანადობით მწევარს დამსგავსებია, აქ დალოცვილი ადამიანის გონება მიხვდარა, განიერ ქუჩაში სუფრა გაშალა დ ჩასუქებული ტანის დასასვენებლათ იქვე სკამიც მიედგა, რომ დრო გამოშვებით სქელი, შავი თათრული ყავა დინჯათ ტუჩთან მიეტანა და მით ბათუმის ნოტიოსაგან დამძიმებული გული გადეხალისებია. უმთავრესი გასართობიც ბათომის საზოგადოებისთვის ეს იყო. თუ ომამდის ჩამოდიოდენ საქართველოს და რუსეთის საუკეთესო დასები წარმოდგენების დასადგმათ, ომის შემდეგ მათი ჩამოსვლა გაჭირდა. ხეირიანი ქართული წარმოდგენა ხომ არ ყოფილა, მცირედღა გამონაკლისს გარდა. თუ ახალს რასმე ფრონტი და საერთოდ ომი მოუტანდა, მოქალაქენი ცოტათი გამოცოცხლდებოდენ, მაგრამ ვაი ისეთს გამოცოცხლებასაც, თუ „გებენი“-სა და „ბრესლაუ“-ს ყუმბარების ზიზინის დროს თავქუდ მოგლეჯილი ყუმბარებისაგან დასაცავ თავშესაფარს უნდა ეძებდე. ომის კურიოზები ბათომის საზოგადოებას გასართობ სიტკბოებას ვერ მოუტანდა და ბევრი თავის გულში ომის გათავებას იმიტომაც შენატროდა, რომ მის გემოზე ცხოვრების ნექტარით დამთვრალი თავდავიწყებას მისცემოდა. რევოლუციის პირველ ხანებში რევოლუციის მიერ წამოსროლილი იდეებისა და ლოზუნგებისაგან დამთვრალნი გამოერკვენ და შემდეგ ისევ ძველებურათ ყავახანის წინ განაგრძობენ უდარდელ ლაზღანდარობას. ყოველგვარ ცვლილებას ამინდისა თუ ტანთსაცმელისას, რევოლიუციის პროცესსა, მთავრობისა თუ ფრონტისა,—ისევ ისე ძველებურათ უდარდელათ ყავახანის წინ მეგობართ გაუზიარებენ და დაიშლებიან. გრძნობათა ერთი აფეთქება ქალაქის არჩევნები იყო. ისიც წარმავალი ყოფილა ხანდახან თუ გაიხსენებენ. ასეთს ცხოვრებას დაჩვეულნი გულის ფანცქალით მოელოდენ ცირკის გახსნას. მარინეს პროსპექტზე ჯერ დაუთავებელი ცირკის შენობა ხიბლავდა და იზიდავდა ვნება-აშლილ მოქალაქეთ. მართლაც მომხიბვლელი ხის შენობაა და მაღლა ჰაერში ატყორცნილ ანძაზე მოფრიალე წითელი დროშებიც შიგნით შესვლას მოგიწოდებს. ლოდინი უკვე დაბერდა, დრო წავიდა და დიდებული სანახაობის გახსნაც სამშაბათს აგვისტოს 29-ს უნდა დაწყებულიყო. ორი დღით წინ ცირკის წინ კუდი გაჩნდა ბილეთების მძებნის მსურველებისა, (თითქო პურს ან შაქარს ყიდიანო). სამშაბათს საღამოს არც ერთი ბილეთი არ იშოვებოდა, არც ერთი ადგილი ცარიელი არ იყო. ხალხით გატენილს ცირკის დარბაზში ექსტაზში მომყვან ჰანგებს თავდავიწყებული მიმრაფრქვევდა ცირკის ორკესტრი. გარეთ კიდევ ტევა არ იყო. ხალხი ბილეთებს მოითხოვდა. ზღვასავით მოგუგუნე დარბაზში სამჯერ ჩამოკრა ზარმა და მწყობრათ გამოვიდენ ცირკის მსახიობი ქალები და კაცები, მსახიობნი და სხვადასხვა. ასპარეზის შუაგულზე ჩამწკრივდენ და ზეიმით საღამოს დაწყებას ეპირებოდენ, რომ იგრიალა უცებ რაღაც იდუმალმა ძალამ და ქანდარის ერთი ნაწილი მაღლიდან ქვეშ დაეშვა. წუთიერს გაუგებარს სიჩუმეს საშინელი ღრიალი მოჰყვა და ყველასათვის გამოირკვა, რომ ქანდარის ერთი ნაწილი ჩამონგრეულიყო და შესაძლებელიც იყო ვინმე მსხვერპლათ შეეწირა უხეიროთ ნაკეთებ ქანდარას. საშინელი წივილ-კივილი, არევ-დარევა მილიციის უფროსმა და ქალაქის საბჭომ, რომელიც სხდომიდან წამოიშალა უბედური შემთხვევის დასათვალიერებლათ და შესაფერი ზომების მისაღებათ, ძლივს დააწყნარა. დაწყნარებულს ხალხს. გამოუცხადეს, რომ საღამო არ გაგრძელდება და დაშლა სთხოვეს. ხოლო მაშინვე ზომები მიიღეს დაშავებულთათვის პირველი სამედიცინო დახმარება აღმოეჩინათ. გამოირკვა, რომ სამი კაცი გვარიანათ დაშავებულა, ხოლო დანარჩენი გვერდების ხეირიანი და[illegible] გადარჩენილიყო. [illegible] იყო ყოველ შემთხვევისთვის ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია დაშავებულების ფიცრებიდან გამოტანით, ამავე დროს ხმა გავარდა მარინეს პროსპექტის [illegible] ცეცხლი გაჩნდაო; ცეცხლის მქრობელი რაზმი [illegible] იქით გაექანა. [illegible] ომის დაწყების შემდეგ პირველად განათდა. ამ შემთხვევით შეწუხებული საზოგადოება შინ უკმაყოფილო ბრუნდებოდა. ცოტა წვიმაც წამოვიდა და ოხშივრით გახურებული სასიამოვნო წმინდა ცვრებით აპკურა. ცვამა წვიმამ თბილი ქვეყნებისკენ მფრენი მწყრების [illegible] მწყრები დაეჯვია ჰაერში რომ ცეცხლის ბურთები, ელექტრონის ფარნები ჰკიდია. ზოგი ფარანზე, ზოგიც ელექტრონის თუ ტელეფონის მავთულებზე გადასული ძირს ცვიოდა. უკმაყოფილო საზოგადოება, ცირკში თუ აშლილი ვნება ვერ დაიკმაყოფილა, სიხარულით დამფრთხალი, დამტვრეული მწყრების ქუჩებში კრეფით მაინც ირთობდა თავს.

ლას. დონ.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	7 ს. 47	წ.
„	— საღამ.	8 ს. 49	„
ბათომიდან	— დღისით	12 ს. 55	„
„	— ღამის	11 ს. 42	„
„	— დილის	10 ს. 20	„
ფოთიდან	— დილის	8 ს. 17	„
ტყიბულიდან	— საღამოს	6 ს.	„
	დილის	9 ს. 10	„
ხაშურიდან	— დილის	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	8 ს. 25	„
„	— ღამის	10 ს. 20	„
ბათომისაკენ	— საღამოს	7 ს. 1	„
„	— დღით	1 ს. 40	„
„	— დილის	6 ს. 20	„
ფოთისაკენ	— დღისით	3 ს. 18	წ.
ტყიბულისაკენ	— დილის	7 ს. 57	„
	— დღით	2 ს. 37	„
ხაშურისაკენ	— დღით	4 ს. 40	„

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გოტუშანსკის სახლი

დოქტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ექიმები

ი. ჩარექოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში უშვებს „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

ვ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში